F 171
1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა
# კრებული

# СБОРНИК
# ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**9**

სექტემბერი

თბილისი—1970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პ რ ე ზ ი დ ი უ მ ი ს ა

1970 წლის 12 აგვისტო

**1970—1971 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების მზადების მიმდინარეობის შესახებ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ მიმდინარე წელს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ფართოდ გაიშალა ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო ბაგა-ბაღებისა და სკოლის გარეშე დაწესებულებათა მზადება. რესპუბლიკის ბევრ რაიონსა და ქალაქში წარმატებით ხორციელდება ზემდგომი ორგანოების დადგენილება რესპუბლიკის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ახალი სასწავლო წლისათვის მომზადების შესახებ. ამ საქმეში სახალხო განათლების მუშაკებს დიდ დახმარებას უწევენ ადგილობ. რივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

როგორც ყოველთვის, წელსაც სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის დიდ მზრუნველობას იჩენენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და წარმოება-დაწესებულებები. მიმდინარე წელს დიდი მოცუ-

ლობით მიმდინარეობს სასკოლო. მშენებლობა, როგორც ცენტრალიზებული სახელმწიფო, ისე არაცენტრალიზებული კაპდაბანდების სახსრებით. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მოიჯარადე მშენებელმა ორგანიზაციებმა უნდა დაამთავრონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ 90 ახალი სასკოლო შენობა 28 ათას მოსწავლე ადგილზე, 30 ბაგა-ბაღი 4.430 ბავშვთა ადგილზე, სკოლა-ინტერნატების საძინებელი კორპუსები, სასკოლო ინტერნატები და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები 6.480 კვ. მეტრი ფართობით, რაზედაც უნდა დაიხარჯოს 9.500 ათასი მანეთი. კაპიტალური რემონტი უტარდება 882 სკოლასა და საბავშვო დაწესებულებას. ამ სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია 3.767 ათასი მანეთი.

შემოწმებით დადგინდა, რომ თელავის, ბორჯომის, მახარაძის, ხობის, ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და ლაგოდეხის რაიონებში დროულად შეადგინეს და რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე დაამტკიცეს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გეგმები. სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, რის შედეგად აღნიშნულ რაიონებში ახალი წლისათვის მზადება ძირითადად დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ასე, მაგალითად, მახარაძის რაიონში შენდება 4 ახალი სასკოლო შენობა, რომელთაგან 3 შენობას თავისი სახსრებით აგებენ ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, ანასეულის ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი და სოფელ შრომის კოლმეურნეობა. შენობები დამთავრების პროცესშია და 1 სექტემბრისათვის მზად იქნება მოსწავლეთა მისაღებად. წარმატებით მიმდინარეობს სკოლებზე საკლასო ოთახების მიშენებათა და კაპიტალური რემონტის სამუშაოებიც, ამ სამუშაოსათვის გამოყოფილი 260 ათასი მანეთიდან დიდი ნაწილი უკვე ათვისებულია.

სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოებისათვის შეძენილ იქნა 6.000 მანეთის ხელსაწყო-იარაღები და სასწავლო მოწყობილობა. შეკეთებულია 450 მერხი, 180 დაფა, 100 კარადა, 400 სკამი, 300 მაგიდა და სხვა. შემოზიდულია 1690 კუბ. მეტრი შეშა, 300 ტონა ქვანახშირი.

რაიონში აღწერილ იქნა სასკოლო ასაკის 1.590 ბავშვი, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე გაიგზავნა 84 მასწავლებელი.

მაგრამ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მხრივ. 1 აგვისტოსათვის

104 დასახელების 69.869 სახელმძღვანელოდან შემოზიდული იყო მხოლოდ 91 დასახელების 23.965 ცალი სახელმძღვანელო, რუსული სახელმძღვანელოები—86 დასახელების 9.447 ეგზემპლარი. მიღებულია 79 დასახელების 8.524 ცალი სახელმძღვანელო.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების მზადების საქმეში თვალსაჩინო წარმატებებ აქვთ მოპოვებული თელავის რაიონის მშრომელებს; დამთავრების პროცესშია თელავის რვაწლიან სკოლაზე 10 საკლასო ოთახის მიშენების სამუშაოები (მშენებლობის სამინისტროს № 4 სამშენებლო სამმართველო, ი. ბექუაშვილი), 1 აგვისტოსათვის 80 ათასი მანეთიდან ათვისებული იყო 77 ათასი მანეთი. მთავრდება აგრეთვე ორი ბაგა-ბაღის შენობის მშენებლობა თითოეული 140 ბავშვ ადგილზე.

საინიციატივო წესით კისისხევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ ააშენა საშუალო სკოლის შენობა 480 მოსწავლე ადგილზე, რაზედაც 280 ათასი მანეთი დახარჯა (სოფლმშენის თელავის მოძრავი მექანიზირებული კოლონა, უფროსი ა. ობოლაძე). დამთავრდა ფშავის კოლმეურნეობის სახსრებით დაწყებული ბაგა-ბაღის მშენებლობა 140 ბავშვზე (თელავის, საკოლმეურნეოთაშორისო სამშენებლო საბჭო. უფროსი ა. ქავთარაძე). გარდა ამისა, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ლაფინყურში, წინანდალსა და თეთრწყლებში აგებენ ახალ სასკოლო შენობებსა და აწარმოებენ მიშენებით სამუშაოებს (საერთო სიმძლავრე 1.850 მოსწავლე ადგილზე), რომელთა დამთავრება გათვალისწინებულია მიმდინარე წლის დეკემბერში. რაიონის, სოფლის 26 სკოლასა და 3 საბავშვო ბაღს როგორც კაპიტალური, ისე მიმდინარე რემონტები უკვე ჩაუტარეს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. კარგად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები ქ. თელავი სკოლებსა და საბავშვო ბაღებშიც. რაიონის სკოლებისათვის წელ შეძენილი უნდა იქნეს 7 ათასი მანეთის ხელსაწყო-იარაღები— აგვისტოსათვის შემოტანილი იყო 5 ათასი მანეთისა. მთლიანად ათვისებულია დგამ-ავეჯისათვის გამოყოფილი 62 ათასი მანეთი.

ხობის რაიონში მთავრდება საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობა, დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები ხობის 1 და ხობის საშუალო სკოლებში და სხვ.

წელს მნიშვნელოვნად დაზარალდა ბორჯომის რაიონის სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებები, რომელთა აღსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენად და შესაკეთებლად სერიოზული ღონისძიებები [illegible] სახული. რაიონში 30 სკოლასა და სკოლამდელ დაწესებულებებს უკეთდება კაპიტალური და მიმდინარე რემონტი. [illegible] ბიუჯეტით 8 სკოლის კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილია 59.0 ათასი მანეთი, 24 სკოლასა და სკოლამდელ ხაბავშვო დაწესებულებას მიმდინარე რემონტს თავიანთი სახსრებითა და საშუალებებით უტარებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და წარმოება-დაწესებულებები. კარგად ემზადებიან 1 სექტემბრისათვის ახალდაბის, ბორჯომის მე-2, მე-3, ციხისძირის, ყვიბისის, ციხისჯვრის საშუალო, ახალუბნის, კორტანეთის, რველის, ქვაბისხევის, დიდი მიტარბის, ბალანთის, ტაბაწყურის [illegible], ჩითახევჰესის, ცემის, ვარდგინეთის, ანდეზიტის დაწყებითი სკოლები. მთავრდება შალანთის 8 წლიანი სკოლის შენობაზე 6 საკლასო ოთახის მიშენება. 20 აგვისტოსათვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა მოლითის დაწყებითი სკოლის ახალი შენობა, რომელსაც იმავე სოფლის კოლმეურნეობა აშენებს. დროულად იქნა შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია იმ სკოლებისათვის, რომლებსაც კაპიტალური რემონტი უკეთდებათ, მაგრამ სამშენებლო მასალების ნაკლებობის გამო ნელი ტემპით მიმდინარეობს სამუშაოები. სარემონტო სამუშაოების ნელ ტემპზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 25 ივლისისათვის 59,0 ათასი მანეთიდან ათვისებული იყო მხოლოდ 27.0 ათასი.

არ იყო დაწყებული სამშენებლო სამუშაოები მიწისძვრისაგან დანგრეული გვერდის უბნის 8 წლიანი სკოლის შენობაზე.

ახალი სასწავლო ინვენტარის შესაძენად ბიუჯეტით გამოყოფილი 32 ათასი მანეთიდან შემოწმების მომენტამდე ათვისებული იყო 18 ათასი მანეთი. რაიონში შემოზიდულია 200 მერხი, 00 სკამი, 100 საკლასო დაფა, 62 მასწავლებლის მაგიდა, 50 ლაბორატორიული მაგიდა. შეძენილია სპორტული ინვენტარი .800 მანეთისა და სხვა. სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიები და ახელოსნოები წელს შეივსება 16 ათასი მანეთის ღირებულების ელსაწყო-იარაღებით, რომელთა დიდი ნაწილი უკვე სკოლებს მიღებული აქვთ. შეკეთებულია 900 მერხი, 120 საკლასო დაფა, 140 მაგიდა, 120 სკამი, 35 კარადა ზამთრის სეზონისათვის გეგმით გათვალისწინებული 1.200 კუბ. მეტრი შეშისა და 900 ტონა ქვანახშირიდან სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში მოზიდულია 700 კუბ. მეტრი შეშა და 400 ტონა ქვანახშირი. რაიონის 45

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლიდან სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთი არა აქვს მხოლოდ 8 სკოლას, რომელთა უზრუნველსაყოფად მიღებულია სათანადო ზომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის სკოლებისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებების ახალი 1970—1971 სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობაზე საკითხი 28 ივლისს განიხილა საქართველოს კპ ბორჯომის რაიკომის ბიურომ და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახა კონკრეტული ღონისძიებები.

ბოგდანოვკის რაიონის სოფელ უჯმანაში 20 აგვისტოსათვის დამთავრდა სასკოლო შენობა 300 მოსწავლე ადგილზე, რომელსაც თავისი სახსრებით აშენებს ადგილობრივი კოლმეურნეობა. დაბა ბოგდანოვკაში დამთავრების პროცესშია საბავშვო ბაღის (100 ბავშვ ადგილზე) შენობა.

ახალქალაქის რაიონში სასკოლო შენობები შენდება სოფლებში ხანდოსა, მარტუნსა და გოდოლარში, გომანში სწარმოებს მიშენება. აღსანიშნავია, რომ სამშენებლო სამუშაოები ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს, რაც ძირითადად მშენებელი ორგანიზაციების უპასუხისმგებლობით აიხსნება. ახალქალაქის რაიონში კაპიტალური რემონტი უკეთდება 23 სკოლას, მიმდინარე რემონტი—45-ს, ხოლო ბოგდანოვკის რაიონში შესაბამისად—4 და 25 სასკოლო შენობას. მაგრამ სარემონტო სამუშაოები შემოწმების დროისათვის ყველგან არ იყო დაწყებული. ჩატარებული სამუშაოები უხარისხოა. ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში მოსწავლეთა შრომითი მონაწილეობით შეკეთებულია ასობით მერხი, მაგიდა, სკამი, კარადა. შემოზიდულია ახალი დგამ-ავეჯი და სხვა. რაიონებში აღრიცხულია ყველა სასკოლო ასაკის ბავშვი, მიღებულია ზომები სკოლას ჩამოშორებულ მოსწავლეთა სწავლებაში ჩაბმისათვის კაბინეტ-ლაბორატორიები შევსებულია ხელსაწყო-იარაღებითა და სასწავლო მოწყობილობით. ახალქალაქის რაიონში მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე გადამზადდა 150 მასწავლებელი, ბოგდანოვკის რაიონში—93. დასახულია ღონისძიებანი ზამთრის სეზონისათვის სკოლების სათბობით უზრუნველსაყოფად.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ბოლნისის რაიონში, სადაც განათლების განყოფილებას ახალი სასწავლო წლისათვის მზადების გეგმა არ გაუტანია აღმასკომის სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად. ცალკეულ სკოლებს შორის არ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ამ მიმართებით განათლების

განყოფილებას და პროფკავშირის რაიკომს არც წინა სასწავლო წელს ჰქონდა გატარებული ღონისძიებები. დაუზუსტებელი იყო, რომელი კოლმეურნეობა, ან საბჭოთა მეურნეობა ახალ სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში რა დახმარებას გაუწევს სკოლებსა და საბავშვო ბაღებს.

25 ივლისისათვის კაპიტალური რემონტი არ იყო დაწყებული ბოლნისის რუსულ საშუალო, ფახრალისა და ბალიჭის 8-წლიან სკოლებში, ბოლნისის № 1 საბავშვო ბაღში. შესრულებული სამუშაოები უხარისხოა. 25 ივნისისათვის კაპრემონტისათვის გამოყოფილი 50 ათასი მანეთიდან ათვისებული იყო მხოლოდ 19.700 მანეთი. განათლების განყოფილებას დაზუსტებული არა აქვს I და IX კლასებში მისაღები კონტინგენტი, ასევე სკოლაში დასაბრუნებელ მოსწავლეთა რიცხვი.

აღსანიშნავია, რომ ყველა შემოწმებულ რაიონში განათლების ადგილობრივი ორგანოები არ ღებულობენ საჭირო ზომებს სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ რვაკლას და საშუალო სკოლა დაუმთავრებელ 16—35 წლის ასაკის ახალგაზრდების საღამოს (ცვლის) დაუსწრებელ სკოლებში ჩასაბმელად, რის გამოც საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების 1970—1971 სასწავლო წლის ქსელისა და კონტინგენტის გეგმის შესრულება საფრთხეშია, არასაკმაო რაოდენობითაა შეძენილი სასკოლო სახელმძღვანელოები, რვეულები და სხვა სასწავლო ნივთები.

განათლების სამინისტროში არსებული მასალებით ირკვევა, რომ მიმდინარე წელს მოიჯარე მშენებელმა ორგანიზაციებმა გასაშვები ობიექტების მშენებლობის სახელმწიფო კაპდაბანდების წლიური გეგმა აგვისტოსათვის მხოლოდ 60% შეასრულეს, მათ შორის სასკოლო მშენებლობისა 69%.

1 ივლისისათვის დაწყებული არ იყო ბაგა-ბაღის მშენებლობა ჭიათურაში. სკოლებისა მესტიის რაიონის სოფელ ტვიბში, ლენტეხის რაიონის სოფ. ვიჩნაში და სპორტული დარბაზებისა სოფლებში როყეთსა და ჭვანაში.

მშენებელთა უპასუხისმგებლობის გამო დიდად ჩამორჩება სასკოლო მშენებლობა ბოლნისში, გაგრაში, წალკაში, ჩხოროწყუს რაიონის სოფ. ახუთში, დმანისის რაიონის სოფ. ორზუმანში, ლანჩხუთის რაიონის ახალსოფელში, ხაშურის რაიონის სოფ. წაღვლში, საგარეჯოს რაიონის სოფ. ჩაილურში, გეგეჭკორის რაიონის სოფ. თამაკონში, დუშეთის რაიონის სოფ. ბარისახოს სკოლა-ინტერ-

ნატში, ზუგდიდის რაიონის სოფ. აბასთუმანში, ქედასა, მესტიაში და ა. შ.

დაბალია შესრულებული სამუშაოების ხარისხი რიგ სასკოლო მშენებლობებზე. ზოგან ადგილი აქვს პროექტის თვითნებურად შეცვლისა და სამშენებლო-სამუშაოების ცალკეულ სახეობათა დეფექტების შესრულების ფაქტებს.

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ნახმარი სახელმძღვანელოების შესყიდვასა და გავრცელებას. ნელი ტემპებით მიმდინარეობს სახელმძღვანელოების გამოცემა. მაგალითად, 114 დასახელების 4.574 ათასი ცალი სახელმძღვანელოდან 1 აგვისტოსათვის გამოცემული იყო 105 დასახელების 321.881 ცალი სახელმძღვანელო. გეგმით გათვალისწინებულ 126 დასახელების 1.593.200 ცალი რუსულ სახელმძღვანელოდან 1 აგვისტოსათვის რესპუბლიკაში შემოზიდული იყო 101 დასახელების 970.700 ეგზემპლიარი. მხოლოდ 50 პროცენტითაა დაკმაყოფილებული მოთხოვნილება სომხურ და აზერბაიჯანულ სახელმძღვანელოებზე. არადამაკმაყოფილებლად მარაგდებიან სკოლები და საბავშვო დაწესებულებები დგამ-ავეჯითა და სასწავლო მოწყობილობით. მაგალითად, გეგმით გათვალისწინებულ 45.000 მერხის ნაცვლად დამზადებულია 25.000, 4.000 მასწავლებლის მაგიდის ნაცვლად—2.500, 6.500 დაფის ნაცვლად—4.000, 200 სადემონსტრაციო მაგიდის ნაცვლად—120 და ა. შ.

ზოგ სკოლა-ინტერნატსა და საბავშვო სახლში წესრიგში არ არის მოყვანილი ცენტრალური გათბობის სისტემა, რბილი და მაგარი ინვენტარის შესაძენი თანხები აუთვისებელია, ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს კლასების დაკომპლექტება და სხვა.

1970—1971 სასწავლო წელს სახალხო განათლების ორგანოებისა და სკოლების წინაშე მეტად საპასუხისმგებლო ამოცანები დგას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა, განსაკუთრებით კი სოფლისამ, მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებასთან ერთად თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 2 ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებების სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისა და პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების თავმჯდომარეებმა:

ა) დროულად უზრუნველყონ სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების მოწყობა და მათი სათანადო ხელსაწყო-იარაღებით აღჭურვა, მხატვრული და მეთოდური ლიტერატურით სასკოლო ბიბლიოთეკების შევსება, სოფლის ყველა სკოლისათვის სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთების გამოყოფა, სპორტული ბაზებისა და დარბაზების წესრიგში მოყვანა, ზამთრის სეზონისათვის სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების სათბობით მომარაგება;

ბ) ყოველმხრივ ხელი შეუწყონ კოლმეურნეობათა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების თაოსნობას ახალი სასკოლო მშენებლობის, არსებულ სასკოლო შენობებზე მიშენებისა და სარემონტო სამუშაოების ფართოდ გაშლას;

გ) სისტემატური კონტროლი დააწესონ სასკოლო ობიექტების მშენებლობასა და რემონტებზე, მიიღონ ზომები ამ სამუშაოების ხარისხიანად და დათქმულ ვადებში დასამთავრებლად;

დ) განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის გასატარებლად და საყოველთაო ათწლიანი განათლების განსახორციელებლად საუკეთესო პირობების შექმნისათვის. ზუსტად აღრიცხონ შვიდი წლისა და სკოლისგარეშე დარჩენილი სასკოლო ასაკის ბავშვები და გადამჭრელი ზომები მიიღონ მათი სწავლებაში ჩაბმისათვის. ამასთან, რადიკალურად გააუმჯობესონ პროფორიენტაციო მუშაობა და გაუღვივონ მოსწავლეებს სხვადასხვა პროფესიებისადმი ინტერესი, გაითვალისწინონ პროფტექნიკურ სასწავლებლებში სათანადო განათლების მქონე მოსწავლეთა გაგზავნა;

ე) საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებთან ერთად გადამჭრელი ზომები მიიღონ საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების სახალხო მეურნეობის გეგმით 1970—71 სასწავლო წლისათვის გათვალისწინებული ქსელისა და კონტინგენტის შესასრულებლად;

ვ) კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან ერთად დასახონ საჭირო ღონისძიებანი სკოლებიდან მოშორებულ ადგილებში მცხოვრები მოსწავლეთა ტრანსპორტით გადაყვანა-გადმოყვანის უზრუნველსაყოფად, ხოლო იქ, სადაც ეს შესაძლებელია გაითვალისწინონ სასკოლო ინტერნატების გახსნა;

ზ) ქმედითი ზომები მიიღონ არსებული სასკოლო ინტერნატების მაგარი და რბილი ინვენტარით უზრუნველსაყოფად, მოსწავლეთა საყოფაცხოვრებო პირობების და ინტერნატების სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის მოსაწესრიგებლად. მოსამზადებელი კლასების გახსნასთან დაკავშირებით სათანადო ყურადღება მიაქციონ გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ქსელის გაფართოებას;

თ) საჭირო ღონისძიებანი გაატარონ სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებულ სასკოლო ქსელის გაშლისა, მოსწავლეთა კონტინგენტის სწავლებაში ჩაბმისა და კლასების დატვირთვის ნორმების უზრუნველსაყოფად;

ი) დადგენილ ვადებში მოამარაგონ სკოლები, სკოლა-ინტერნატები, საბავშვო სახლები და სხვა საბავშვო დაწესებულებები ზამთრისათვის საჭირო სათბობით;

კ) მიიღონ ზომები, რათა სავაჭრო ორგანიზაციებმა დროულად შეზიდონ რაიონებსა და ქალაქებში სკოლებისათვის გამოყოფილი სახელმძღვანელოები, თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები და სხვა სასწავლო ნივთები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ნაბმარი სახელმძღვანელოების შეგროვების და განაწილების საქმეს;

ლ) იზრუნონ სასწავლო წლისათვის სკოლებში სასადილოებისა და ბუფეტების გახსნისათვის, საჭირო ინვენტარით აღჭურვისა და კვების პროდუქტებით მომარაგებისათვის;

მ) შეუქმნან მასწავლებლებს შრომისა და ყოფაცხოვრების ნორმალური პირობები, დააწესონ კონტროლი მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე და უზრუნველყონ მათი საექსპლოატაციოდ დროულად გადაცემა.

2. მეთოდურმა (ამხ. ვ. ცაავა) და სახელმძღვანელოების (ამხ. ტ. ტყემალაძე) განყოფილებებმა დადგენილ ვადებში უზრუნველყონ სასწავლო გეგმების, პროგრამის, მეთოდური ლიტერატურის, მითითებებისა და სახელმძღვანელოების გამოცემა და ადგილზე დაგზავნა.

3. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ს. უჩანეიშვილი):

ა) გააძლიეროს კონტროლი სასკოლო ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობაზე და 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს ექსპლოატაციაში გადასაცემი განათლების ყველა ობიექტის მაღალხარისხოვნად და სრულად დამთავრება;

ბ) სისტემატურად შეამოწმოს როგორც ახალი სასკოლო შენობების მშენებლობა, ისე კაპიტალური და მიმდინარე რემონტის მიმდინარეობა, გადამჭრელი ზომები მიიღოს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და საექსპლოატაციოდ არ მიიღოს არაკომპლექტურად დამთავრებული და დეფექტების მქონე შენობები.

4. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე):

ა) სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიოს განათლების ადგილობრივ ორგანოებს 1970 წლის სახალხო სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული სასკოლო ქსელის გაშლის და კლასების დატვირთვის ნორმის მტკიცედ დაცვის საქმეში;

ბ) გადამჭრელი ზომები მიიღოს ახალი სასწავლო წლისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების სწორად დაფინანსების უზრუნველსაყოფად, ამასთან ყურადღება მიაქციოს ფინანსების ომჭირნეობით ხარჯვას.

5. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე): განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების საჭირო ხელსაწყო-იარაღებით, პრეპარატებითა და მოწყობილობებით უზრუნველყოფის საქმეს. მიაღწიოს იმას, რომ სათანადო საწარმოებმა დროულად უზრუნველყონ სკოლები და სახავშვო დაწესებულებები მაღალხარისხოვანი დგამ-ავეჯით და სასკოლო ნივთებით.

6. კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე სკოლები და სხვა საბავშვო დაწესებულებები დააკომპლექტოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლებით და გაატაროს სათანადო ღონისძიებები პედაგოგიური კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის გასაუმჯობესებლად.

7. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე სკოლების ადასვლასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ საგნებში მასწავლებელთა გადამზადებასა და მათი იდეურ-

თეორიული და პროფესიული ოსტატობის შემდგომი ამაღლების საქმეს.

8. სკოლების (ამხ. აკ. ჩხიკვაძე), სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების (ამხ. რ. კანდელაკი), სალამოს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლების (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) სამმართველოებმა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი გაუწიონ ახალ 1970—1971 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სკოლამდელი დაწესებულებების წარმატებით მომზადების საქმეს.

9. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) რეგულარულად გააშუქოს გაზეთის ფურცლებზე ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
უშ. იზოლაძე

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის
თავმჯდომარე თ. იოსელიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლებისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების 1970 წ. 29 ივნისის ბრძანება № 347-ო № 344

**რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში ბავშვთა ფიზიკური აღზრდის, სამედიცინო დახმარებისა და კვების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ**

შემოწმებით დადასტურდა, რომ ქ. ქ. თბილისის, რუსთავის და მცხეთის, კასპის, გურჯაანისა და ზუგდიდის რაიონებში საკრძნობლად გაუმჯობესდა ბავშვთა ფიზიკური აღზრდის, სამედიცინო დახმარებისა და კვების მდგომარეობა, რასაც დიდად შეუწყო ხელი განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ დამუშავებულმა რეკომენდაციებმა და მითითებებმა, სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის მიერ ადილებზე ჩატარებულმა სემინარულმა მუშაობამ.

ქ. თბილისის №№ 2, 10, 34; რუსთავის №№ 21, 22 ბაგა-ბაღებში; ქ. თბილისის № 2 სადღეღამისო; მცხეთის № 1 საბავშვო ბაღებში (გამგეები—ი. კანდელაკი, ნ. რამიშვილი, ლ. ჭანჭალეიშვილი, ა. არაბიძე, ნ. ენუქიძე, ფ. დგებუაძე, ე. პაპიაშვილი) უზრუნველყოფილია სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის სწორი ორგანიზაცია. ამ დაწესებულებათა გარემო პირობები პასუხობენ თანამედროვე პედაგოგიკურ, ესთეტიკურ და სანიტარულ მოთხოვნებს, ხელს უწყობენ ბავშვთა ნორმალურ ფიზიკურ და ფსიქონერვულ განვითარებას, დღის რეჟიმის შესრულებას, პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობისა და სამედიცინო დახმარების მაღალ დონეზე დაყენებას.

აღნიშნულ სკოლამდელ დაწესებულებებში სისტემატურად სრულდება ბავშვების მიღებისათვის საჭირო ღონისძიებები (თერმომეტრიზაცია, ყელისა და კანის გასინჯვა, პირადი ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმება). განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დილის ვარჯიშების, ფიზიკური აღზრდის მეცადინეობათა პედაგოგიურ მეთოდური დონის ამაღლებას.

აღმზრდელები ნ. ხალატოვა, ნ. გურგენიძე, მ. გაჩეჩილაძე, ნ. მჭედლიძე, მ. მხჩიანი, თ. ყურაშვილი, გ. ნიკოლაიშვილი, ე. ბა-ნუა, ე. თევზაძე, მ. ჩხეიძე ქ. თბილისის № 34 ბაგა-ბაღი, №№ 14, 35, 64 საბავშვო ბაღები; ქ. რუსთავის №№ 21, 23 ბაგა-ბა-ღები; მცხეთის № 1 საბავშვო ბაღი) შედეგიანად ატარებენ მე-ცადინეობებს, ბავშვებს აწვდიან კარგად დამუშავებულ ვარჯიშებს, იცავენ ვარჯიშობათა თანმიმდევრობას, დოზირებას, თვალყურს ადევნებენ მოძრაობათა დახვეწილობას, ბავშვთა ტანადობის დაყე-ნებას. მცხეთის № 1 საბავშვო ბაღის აღმზრდელი მ. ჩხეიძე მი-ზანდასახულად ატარებს მოძრავ-წესებიან თამაშებს (რეკომენდებუ-ლი ხალხური თამაშები), რითაც უვითარებს ბავშვებს როგორც ძირითად მოძრაობებს (სირბილი, სიარული, წონასწორობის დაც-ვა, ცოცვა და სხვა), ასევე დადებით ჩვევებს (კოლექტივში მოქმე-დების უნარი, მოსაზრებულობა, სწრაფი რეაგირება, ხასიათის სი-მტკიცე და სხვ.). მის აღსაზრდელებს აქვთ მხიარული გუნება გან-წყობა და დისციპლინა.

გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს ქ. თბილისის №№ 35, 95, 19, მცხეთის № 4 საბავშვო ბაღებში (გამგეები ე. მემინო-შვილი, თ. გაბუნია, ა. არუთინოვა, თ. კალანდაძე). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საბავშვო ბაღები მოთავსებული არიან შე-გუებულ შენობებში, პედაგოგიური და სამედიცინო პერსონალის ენერგიული შრომის შედეგად მაქსიმალურადაა გამოყენებული არ-სებული შესაძლებლობანი ბავშვთა გაკაჟება-გაჯანსაღებისათვის. დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნები, ბავშვთა პირადი ჰიგიენა.

ქ. თბილისის სკოლამდელი დაწესებულებები უზრუნველყო-ფილი არიან სამედიცინო კადრებით, რომლებიც ეფექტურ ღონის-ძიებებს ატარებენ ბავშვთა ფიზიკური განვითარებისა და დაავა-დებათა შემცირების მიზნით; ფართოდ იყენებენ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, ინფექციური დაავადების გამოვლინების შემთხვევა-ში დროულად ახდენენ ავადმყოფ ბავშვთა იზოლირებას, იცავენ საკარანტინო ვადებს; სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ ატა-რებენ ბავშვთა ღრმა სამედიცინო შემოწმებას, ფიზიკურად სუსტი ბავშვები აყვანილი ჰყავთ აღრიცხვაზე და უტარებენ შესაფერის მკურნალობას. ქ. ქ. თბილისისა და რუსთავის სკოლამდელი და-წესებულებები მნიშვნელოვან ზომებს იღებენ კვების ხარისხის ამაღლებისა და მისი მრავალფეროვნებისათვის.

დადებითთან ერთად შეინიშნება ნაკლოვანებანიც. სკოლამდელ დაწესებულებათა გარკვეულ ნაწილში ჯერ კიდევ არ არის ნორმალურად მოწესრიგებული ბავშვთა ფიზიკური აღზრდის, სამედიცინო დახმარებისა და კვების მდგომარეობა. ყველა საბავშვო ბაღში არ არის დაცული დილით ბავშვთა მიღების წესები. მაგალითად, თბილისის № 81 საბავშვო ბაღში ბავშვების მიღება ხდება ბნელ დერეფანში, სადაც გაძნელებულია ყელისა და კანის გასინჯვა; № 59 საბავშვო ბაღში, ბავშვების სიმრავლის გამო, ყველა ჯგუფში არ ტარდება თერმომეტრიზაცია; № 16 საბავშვო ბაღში მშობლები თავისუფლად შედიან ჯგუფის ოთახებში, დილითა და ბავშვების გასტუმრების დროს სისტემატური მოძრაობით, ხელს უშლიან წესრიგისა და სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვას.

სკოლამდელ დაწესებულებათა ერთ ნაწილში ნაკლები ყურადღება ექცევა სუფთა ჰაერით სარგებლობას. მაგალითად, ქ. თბილისის № 37 საბავშვო ბაღში აღმზრდელი მ. ჯულელი საპირფარეშოსთან ახლოს მდებარე დაკეტილ, ვიწრო დერეფანში ატარებს მოძრავწესებიან თამაშს, რაც იწვევს ისედაც დახშული ჰაერის დამტვერიანებას. ასეთივე პირობებში ატარებს მეცადინეობას ფიზიკურ აღზრდაში ქ. რუსთავის № 19 საბავშვო ბაღის აღმზრდელი ნ. ლომთათიძე; იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ვარჯიშების დახვეწილად შესრულებას. ბავშვები მხრებში მოხრილი დადიან, არ არიან დაუფლებულნი მსუბუქ სიარულს. ზოგიერთი აღმზრდელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ბავშვთა სწორი აღნაგობის განვითარებას. მაგალითად, ქ. თბილისის № 35 საბავშვო ბაღში (აღმზრდელი ლ. კახაშვილი) ხატვაში მეცადინეობის დროს ბავშვები ნახევრად წამოწოლილი იყვნენ მაგიდებზე, რაც ქმნის მათი სქოლიოზით დაავადების საშიშროებას.

რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა დიდ ნაწილში არ არის მოწესრიგებული ბავშვებისა და აღმზრდელებისათვის სპორტული ფორმების შეძენის საქმე. უფრო მეტიც, აღმზრდელები ნ. გვეტაძე. ე. კიკნაძე (ქ. თბილისის №№ 46, 66 საბავშვო ბაღები) დილის ვარჯიშისა და მეცადინეობის ჩატარების დროს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ბავშვთა ჩაცმულობის შემსუბუქებას, ავარჯიშებენ უხეში ფეხსაცმელებით, თბილი ტანსაცმლითა და წინსაფრებით.

რიგ სკოლამდელ დაწესებულებებში ჯერ კიდევ ცოტა კეთდება ბავშვთა პირადი ჰიგიენის დაცვის მხრივ. მაგალითად, ქ. თბი-

ლისის № 18 ბაგა-ბაღში (აღმზრდელი მ. ბიჭიაშვილი, ექთანი ე. გოგიბერიშვილი), ბავშვებს ფრჩხილები დაუჭრელი აქვთ; ზუგდიდის რაიონის ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის №№ 2-3 საბავშვო ბაღებში ბავშვებს არ აქვთ ინდივიდუალური პირსახოცები; რუსთავის № 7 ბაგა-ბაღში (გამგე მ. ხეცურიანი, ექთანი ს. რადჩენკო) ორ-ორ ბავშვს ერთ საწოლში სძინავს; კასპის რაიონის ოკამის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღში ბავშვებს არ აქვთ ღამის პერანგები; კასპის № 2 ბაგა-ბაღში ჭამის წინ ბავშვებს ხელებს არ აბანინებენ (აღმზრდელი მ. დალაქიშვილი, ექთანი ე. შაველაშვილი).

სკოლამდელ დაწესებულებათა ერთ ნაწილში სათანადო ყურადღებას არ აქცევენ შენობათა მოწესრიგებას სანიტარულ-ჰიგიენური წესების მიხედვით. მაგალითად, ქ. თბილისის № 52 საბავშვო ბაღსა და № 36 ბაგა-ბაღში სველ წერტილებში ანტისანიტარული მდგომარეობაა; გურჯაანის ბაგა-ბაღში პარკეტის იატაკი წყლით იწმინდება და გაშავებულია, გურჯაანის რაიონის მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღში ბავშვთა ტანსაცმლის კარადები სავსეა ჭუჭყიანი ჩვრებით.

შემოწმების დღეს სანიტარული მინიმუმი არ იყო დაცული ქ. თბილისის № 12 საბავშვო ბაღში, მაგრამ ექთანს ა ბადალოვას როგორც იმ დღის, ასევე სხვა დღეების შესახებ, „სანიტარული მდგომარეობის აღრიცხვის ჟურნალში ჩაწერილი ჰქონდა, რომ სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია". ასევე თერმომეტრიზაციის რვეულში ყველა ბავშვზე ერთი და იგივე ტემპერატურა არის ნაჩვენები. ასეთივე ფიქტიურ ჩანაწერებს სხვა საბავშვო ბაღებშიც ვხვდებით.

ბავშვთა ფიზიკური აღზრდის სრულყოფას ხელს უშლის ისიც, რომ ჯერ კიდევ ბევრ საბავშვო ბაღში, განსაკუთრებით შეგუებულ შენობებში (მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს სათანადო ფართობი გააჩნია) არ არის ორგანიზებული დღის ძილი. ჯერ კიდევ ვერ დაინერგა მასობრივად დასაკეცი საწოლების გამოყენება; ამავე დროს ისეთ შენობებში, სადაც საძინებელი ოთახები ცალკეა გამოყოფილი და მუდმივი საწოლები უნდა იყოს, იყენებენ დასაკეც საწოლებს (ქ. თბილისის № 6 ბაგა-ბაღი).

ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში ნაკლები ყურადღება ექცევა ავეჯის შერჩევას. კასპის № 2 ბაგა-ბაღში ბაგის ჯგუფებში ბავშვთა 50% ჯდომის დროს იატაკზე ვერ დგამს ფეხს, რის გამოც მარებში მოხრილი ზის. ანალოგიური მდგომარეობაა რესპუბ-

F 3477

ლიკის ბევრ სკოლამდელ დაწესებულებაში ქ. თბილისის №18 ბაგა-ბაღში (ექიმი ლ. ბედიაშვილი) არ აქვთ [illegible] და ბავშვები იატაკზე თამაშობენ. ზოგიერთი ბაგა-ბაღის
ეროვნული ბიბლიოთეკა
ჯგუფის მუშაობას დიდად უშლის ხელს ის გარემოება, რომ არ აქვს მანეჟი და ბავშვები ფხიზლობის ატარებენ ოთახის კუთხეში დაფენილ საბანზე, ან ხელში აყვანილნი; ასევე, არ აქვს შესაფერისი სკამები, რის გამო 1 წლამდე ასაკის ბავშვებს კალთაში კვებავენ, რაც ჰიგიენური თვალსაზრისით მიუღებელია.

ჯერ კიდევ ბევრ სკოლამდელ დაწესებულებას არ გააჩნია მუშაობის სათანადო პირობები, მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში. ქ. თბილისის №№ 12, 34, 81, გურჯაანის რაიონის შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღებში ოთახები ნახევრად ბნელია, ხელოვნური განათებაც მეტად სუსტია, რაც ბავშვების მხედველობის დაზიანების საშიშროებას ქმნის. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სკოლამდელ დაწესებულებაშიც. შენობების სივიწროვის შედეგია ისიც, რომ ზედა ტანსაცმლის შესანახი კარადები განლაგებულია ჯგუფების ოთახებში. ქ. თბილისის № 21 საბავშვო ბაღის საპირფარეშო და ხელსაბანი ოთახი მოთავსებულია სარდაფში; ხელის დასაბანად ბავშვებს ჩასვლა უხდებათ ნახევრად ბნელ ქვის კიბეებზე. ასევე ერთადაა მოთავსებული საპირფარეშო და ხელსაბანი ქ. თბილისის № 16 საბავშვო ბაღში.

შესაფერი ფართობის უქონლობის გამო ბევრ შეუფერებელ შენობაში მუსიკაში მეცადინეობისა და ფიზკულტურული ვარჯიშობისათვის გამოყენებულია ჯგუფის ოთახები.

სკოლამდელ დაწესებულებათა ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი გამდინარე ცხელი წყლით. უფრო მეტიც, ზუგდიდის რაიონის ზედაეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის № 3 ბაგა-ბაღში საერთოდ არ არის წყალგაყვანილობა და მეზობელი ეზოდან ეზიდებიან წყალს.

ფიზიკური აღზრდის სრულყოფას ხელს უშლის ისიც, რომ ბევრი სკოლამდელი დაწესებულების ეზო არ არის კეთილმოწყობილი.

ზოგ სკოლამდელ დაწესებულებაში სათანადოდ არაა ორგანიზებული სამედიცინო დახმარება, არ ხდება ავადმყოფ ბავშვთა დროული იზოლირება. მაგალითად, კასპის № 2 ბაგა-ბაღში (ექიმი მ. ბერიაშვილი) სიცხიანი ბავშვი ($38^0$ ტემპერატურით) საერთო საძინებელში იწვა, მაშინ, როდესაც ბაგა-ბაღს აქვს იზოლატორი

ხოლო გურჯაანის რაიონის შრომის საბჭოთა მეურნეობის ბაგა-ბაღში თანამშრომლის ავადმყოფი ბავშვი სხვის საწოლში ჩააწვინეს. ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში ირღვევა პროფილაქტიკური წესები: ქ. თბილისის № 11 ბაგა-ბაღში 4 ბავშვს „მიკზე" აუცრეს სამ სამჯერ, რაც გადაჭარბებულია; ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებაში კი სრულებით არ არის ჩატარებული ეს ღონისძიება.

მიუხედავად სერიოზული ზომებისა, სკოლამდელ დაწესებულებებში მაინც აქვს ადგილი ინფექციურ დაავადებებს—წითელას, ქუნთრუშას, ჩუტყვავილას, სიყვითლეს და სხვ. სიყვითლით დაავადების შემთხვევას ჰქონდა ადგილი ქ. თბილისის № 8, საბავშვო ბაღში; ქ. რუსთავის № 15 საბავშვო ბაღში კი იყო 14 შემთხვევა ჩუტყვავილის, 2 წითელას და 1 სიყვითლის. ანალოგიური მდგომარეობაა ზოგიერთ სხვა სკოლამდელ დაწესებულებაშიც.

რიგი სკოლამდელი დაწესებულებებისა არ არიან უზრუნველყოფილი მედიკამენტებით. არ აქვთ პირველადი დახმარების საშუალებანი (სპირტი, ბამბა, იოდი, სიცხის დასაწევი პრეპარატები და სხვ.), № 18 ბაგა-ბაღში კი მედიკამენტები მოძველებულია. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა სოფლის საბავშვო ბაღებში.

ზოგიერთ საბავშვო ბაღში ჩაშლილია ბავშვთა ფიზიკურ განვითარებაზე დაკვირვება, მათი შემოწმება—აწონვა, გაზომვა ქ. თბილისის № 36 ბაგა-ბაღში არა აქვთ სამედიცინო სასწორი და სიმაღლის მზომი. არა თუ სოფლის, არამედ ზოგიერთ ქალაქის საბავშვო ბაღსაც არა აქვს ფორმა №№ 26, 112, რაც განკუთვნილია ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ფიქსირებისათვის.

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებებში შეინიშნება ნაკლოვანებანი კვების საქმეშიც. მიუხედავად იმისა, რომ კვების ღირებულება თითოეულ ბავშვზე დღეში 59 კაპიკიდან 67 კაპიკამდე გაიზარდა, ბევრ საბავშვო ბაღში კვების ხარისხი არ გაუმჯობესებულა. მაგალითად, ქ. თბილისის № 52; რუსთავის № 19 საბავშვო ბაღებში კვება ერთფეროვანია; რუსთავს № 7 საბავშვო ბაღში ნაკლებად ეძლევათ ხორცი და გაზრდილთა კრუპეულის ნორმა. ამ საბავშვო ბაღში დარღვეულია კვების ნორმები და არასწორად წარმოებს კალორაჟის გამოანგარიშება. შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებათა გარკვეულ ნაწილში ბავშვებს ნაკლებად ეძლევათ დაკეპილი ხორცი, კვერცხი, ბოსტნეული, ხილი, დილით ცხელი

საუზმე. ბაღისა და ბაგის ჯგუფების მენიუ ერთიდაიგივეა. ბევრ საბავშვო ბაღში მენიუს შედგენის დროს არასწორად ნაწილდება პროდუქტი: მთელ ნორმა ხორცს პირველ კერძში უშვებენ, ხოლო მეორე კერძად ხშირად კრუპეულს აძლევენ. ქ. რუსთავის № 7 საბავშვო ბაღში არ არის დაწესებული კონტროლი კვების ხარისხზე, ზოგან ნაკლები ყურადღება ექცევა მენიუს მიხედვით გათვალისწინებული პროდუქტის დროულად გაცემას. მაგალითად, № 6 ბაგა ბაღში კამფეტი გაიცა დაგვიანებით, შემმოწმებლის მითითების შემდეგ.

ზოგიერთი აღმზრდელი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ბავშვებში ჭამის კულტურის გამომუშავებას. № 46 ბაგა-ბაღში (აღმზრდელი ც. ბარამიძე) ჭამის დროს არ იყენებენ ხელსაწმენდებს, ბავშვები უკოვზოდ ხელით ჭამენ ხაჭოს. ხაჭო უდევთ იმავე ლამბაქზე, რაზედაც ფინჯანია.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სკოლამდელი დაწესებულება სავაჭრო ორგანიზაციებს წინასწარ უდგენს განაცხადს საჭირო პროდუქტების შესახებ, ჯერ კიდევ უჩივის კვერცხით, ხორცით, ბოსტნეულით, ხილითა და რძის ნაწარმით მომარაგებას. ბევრი სოფლის სავაჭრო ორგანიზაციიდან პროდუქტი იცემა არაოფიციალურ ქაღალდზე ჩამოწერილი სიის მიხედვით, არ ფორმდება ფაქტურა. არადამაკმაყოფილებელია კვების პროდუქტებით მომარაგების საქმე გურჯაანისა და ზუგდიდის რაიონებში; ზუგდიდის რაიონში ხშირად დაკონსერვებული ხორცით ამარაგებენ სკოლამდელ დაწესებულებებს.

რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ფიზიკური აღზრდის სამედიცინო დახმარებისა და კვების მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ

1. რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა, შექმნან სათანადო გარემო ბავშვთა ფიზიკური აღზრდის სრულყოფილად წარმართვისათვის;

ბ) გააძლიერონ დახმარება და კონტროლი აღმზრდელებისადმი დილის ვარჯიშებისა და მეცადინეობების მაღალ მოთხოვნილებათა დონეზე ჩატარებისათვის;

გ) არ დაუშვან ფიზიკურ აღზრდაში მეცადინეობის ჩატარება სპორტული ფორმის ან, უკიდურეს შემთხვევაში, ბავშვთა ტანსაცმლის შემსუბუქების გარეშე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლამდელი დაწესებულებების უზრუნველყოფას ფიზიკური აღზრდისა და სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ლიტერატურითა და სხვა მასალებით;

ე) უზრუნველყონ საბავშვო ბაღები სპორტული იარაღებითა და მოძრაობათა გასავითარებელი სათამაშოებით (მანქანები, ბურთები, ურიკები, ავტომობილები);

ვ) სისტემატურად იზრუნონ კვების ხარისხის ამაღლებისათვის;

ზ) განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ სამედიცინო პერსონალის მუშაობაზე, რათა უზრუნველყონ დაავადებათა მაქსიმალურად შემცირება, დღის რეჟიმის ზუსტად დაცვა, ბაგის ჯგუფებში მუშაობის დონის ამაღლება.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებებმა, რაიონების მთავარმა ექიმებმა:

ა) ერთობლივად განიხილონ ეს ბრძანება, სისტემატური კონტროლი და დახმარება გაუწიონ სკოლამდელ დაწესებულებებს აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეში; სათანადო სასჯელი დაადონ ამ ბრძანებაში აღნიშნულ იმ პირებს, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან დაკისრებული მოვალეობის შესრულებას;

ბ) დააყენონ საკითხი ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე სკოლამდელ დაწესებულებათა ნივთიერი ბაზის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) სკოლამდელ მუშაკთა გადამზადებისას სათანადო ყურადღება მიაქციოს ფიზიკური აღზრდის საკითხებს.

4. სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ნ. კაკაურიძე) სისტემატურად ჩაატაროს ადგილებზე სემინარული მუშაობა ფიზიკური აღზრდისა და ადრეული ასაკის ბავშვებთან მუშაობის საკითხებზე.

5. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკური დახმარების სამმართველომ (ამხ. ლ. ირემაძე) მოკლე დროში გაითვალისწინოს ბაგებისა და ბაგა-ბაღების სამედიცინო პერსონალისათვის რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარება, მიიღოს ზომები სკოლამდელი დაწესებულებების უზრუნველყოფისათვის ფორმებით №№ 26 და 112.

6. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის პედიატრიის ინსტიტუტმა (ამხ. ი. ფალავა) მოაწყოს გადასამზადებელი კურსები ბაგის ჯგუფების აღმზრდელებისა და სამედიცინო პერსონალისათვის.

7. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს (ამხ. ვ. თოხაძე) და ცეკავშირის გამგეობას (ამხ. ნ. ჯავახიძე) უზრუნველყონ სკოლამდელ დაწესებულებათა შეუფერხებელი მომარაგება კვების პროდუქტებით და ბავშვთა კვების მრავალფეროვნებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გაითვალისწინონ სკოლამდელ დაწესებულებათა მზარეულების გადამზადება.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი), საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამკურნალო პროფილაქტიკური დახმარების სამმართველომ (ამხ. ლ. ირემაძე) დააწესონ ზედამხედველობა ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლებისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების კოლეგიების 1970 წლის 26 ივნისის დადგენილება.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ განათლების მ ი ნ ი ს ტ რ ი | საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი |
| **თ. ლაშქარაშვილი** | **ლ. საყვარელიძე** |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1970 წ. 14 ივლისის ბრძანება № 374

### ესთეტიკური ციკლის საგნების სწავლების მდგომარეობის შესახებ

### გარდაბნის, მცხეთის, ზესტაფონის, თერჯოლის, ცხაკაიას და ჩხოროწყუს რაიონებში

გარდაბნის, მცხეთის, ზესტაფონის, თერჯოლის, ცხაკაიასა და ჩხოროწყუს რაიონების სკოლებში ბოლო წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა ესთეტიკური ციკლის საგნების სწავლება. გარდაიქმნა კლასგარეშე მუშაობაც. აღნიშნული რაიონების ზოგიერთი განათლების განყოფილებამ შეძლო პრაქტიკულად ჩადგომოდა სათავეში ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების საქმეს.

ცხაკაიას განათლების განყოფილებაში საზოგადოებრივ საწყისებზე ინსპექტორად ესთეტიკური აღზრდის დარგში მუშაობს ბოჯგუა, მე-2 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე მუსიკალური აღზრდის დარგში, ჩხოროწყუს რაიონის განათლების განყოფილებაში ინსპექტორ ხუნჯგურუას დაკალებული აქვს ხელმძღვანელობა ესთეტიკურ აღზრდაზე. მცხეთის რაიონის განათლების განყოფილებასთან შექმნილია ესთეტიკური აღზრდის საბჭო მუხრანის 1-ლი საშუალო სკოლის ხატვის მასწავლებლის ნერსესოვის თავმჯდომარეობით.

ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილებასთან არსებობს ესთეტიკური აღზრდის სექცია (ხელმძღვანელი პიონერთა სახლის დირექტორის მოადგილე გეწაძე), ხოლო თერჯოლის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტთან შექმნილ ესთეტიკური აღზრდის სექციას ხელმძღვანელობს ჩხარის საშუალო სკოლის სიმღერა-მუსიკის მასწავლებელი საბელაშვილი.

განათლების განყოფილებები ესთეტიკური აღზრდის სექციების და საზოგადოებრივი ინსპექტორების დახმარებით სწავლობენ

შესაბამის საკითხებს, იხილავენ საბჭოს სხდომებზე და სახავენ მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს.

ბოლო ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სიმღერა-მუსიკისა და სახვითი ხელოვნების სწავლება, ლიტერატურისა და ისტორიის გაკვეთილები უფრო და უფრო ეყრდნობა თვალსაჩინოებას, მათში მეტად შეაქვთ ესთეტიკური აღზრდის ელემენტები. განსაკუთრებით გაცოცხლდა კლასგარეშე მუშაობა. შეიქმნა ბევრი კარგი სასკოლო კოლექტივი საგუნდო ხელოვნებაში, ქორეოგრაფიაში, ფესვი გაიდგა მუსიკალური ჯგუფების ქსელმა და სხვა. მაგ. ცხაკაიას რაიონის მე-8 საშუალო სკოლასთან არსებობს მუსიკალური ჯგუფები. მათში 324 ბავშვია გაერთიანებული. ცხაკაიას მე-2 საშუალო სკოლის მომღერალთა გუნდში 115 მოსწავლე ღებულობს მონაწილეობას, ხოლო ქორეოგრაფიულ ანსამბლში 35. ამავე სკოლის მუსიკალურ ჯგუფებში 150 მოსწავლე ირიცხება.

ცხაკაიას სკოლა-ინტერნატში, გარდა სხვა წრეებისა, შექმნილია სასულე ორკესტრი.

ჩხოროწყუს პირველ საშუალო სკოლაში ჩამოყალიბებულია ქორეოგრაფიული ანსამბლი და მომღერალთა გუნდი. აქვეა სახვითი ხელოვნების წრეც.

კარგი მომღერალთა გუნდია ხალხური საკრავების თანხლებით ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეს საშუალო სკოლაში, ამავე სკოლის მუსიკალურ ჯგუფებში 50 ბავშვი სწავლობს. ასევე სერიოზულ მუშაობას ატარებს ამ მხრივ ჩხოროწყუს საშუალო სკოლა.

გარდაბნის რაიონის 4 სკოლაში გახსნილია მუსიკალური ჯგუფები.

გარდაბნის მე-2 საშუალო სკოლა (დირექტორი ვ. კრავჩენკო) სერიოზულ ყურადღებას უთმობს სკოლის კარმიდამოსა და ინტერიერების ესთეტიკურად, ლამაზად გაფორმებას, ყურადღებას აქცევს სისუფთავეს და წესრიგს. სკოლას კარგად აქვს დაყენებული საწრეო მუშაობაც. ყურადღებას იმსახურებს გარდაბნის რაიონის სართიჭალის საშუალო სკოლის მუშაობა ესთეტიკური აღზრდის დარგში.

მცხეთის რაიონშიც მოხდა საკმაო ძვრები. აქ 6 სკოლაშია გახსნილი მუსიკალური ჯგუფები.

რაიონის თითქმის ყველა სკოლაშია მომღერალთა გუნდი და ხალხურ საკრავთა ანსამბლი. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია

მცხეთის რაიონის მისაქციელის საშუალო სკოლის მუშაობა. აქ გარდა მრავალმხრივი საწრეო მუშაობისა, სათანადო სიმაღლეზეა ესთეტიკური ციკლის საგნების სწავლების საქმე, დირექცია (დირექტორი ალ. ლაშხაური) დიდ ყურადღებას უთმობს სასკოლო კარმიდამოსა და ინტერიერების სათანადოდ მოწყობას. ესთეკური აღზრდის საქმეში დამაკმაყოფილებელი მიღწევები აქვს ძალისისა და მუხრანის 1-ლ საშუალო სკოლებს.

სათანადო მუშაობა ტარდება ზესტაფონის სკოლებშიც. მათ შორის 8 სკოლას გახსნილი აქვს მუსიკალური ჯგუფები. 19 სკოლაში სიმღერისა და ცეკვის წრე მუშაობს, სახვითი ხელოვნების წრე—7 სკოლაში, 1-ლ სკოლაშია დრამწრე და სხვა. აღსანიშნავია სვირის საშუალო სკოლის მუსიკალური ჯგუფების მიღწევები; თერჯოლის საშუალო სკოლაში მუშაობს ხატვის, ქორეოგრაფიის, მხატვრული კითხვისა და სხვა წრეები.

მაგრამ მიღწევებთან ერთად გამოვლინდა არსებული ნაკლოვანებებიც, რაც ჯერ კიდევ გააჩნია რესპუბლიკის სკოლებს—აღნიშნული რაიონების სკოლების ტექნიკურ-მატერიალური ბაზა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებებს, თუმცა არის მთელი რიგი სკოლები, სადაც შეიძლება მოეწყოს სახვითი ხელოვნების ან მუსიკის კაბინეტები, მაგრამ აღნიშნული რაიონების არცერთ სკოლას ამგვარი კაბინეტი არ აქვს.

გარდაბნის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას (გამგე ა. ერტელიშვილი) სათანადოდ არ აქვს წარმოდგენილი ესთეტიკური აღზრდის მნიშვნელობა და ამოცანები. განათლების განყოფილებასთან არ არსებობს არავითარი სექცია, არ არის პიროვნება, ვინც ამ საქმით იქნება დაკავებული.

საერთოდ, სკოლები ნაკლებად ან სრულიად არ იყენებენ ესთეტიკური აღზრდისათვის თანამედროვე საშუალებებს, როგორიცაა მაგნიტოფონი, ელექტროდამკვრელი, კინოსაპროექციო აპარატი და სხვა.

სახალხო განათლების განყოფილებები და შესაბამისი სკოლები ან არ იცნობენ ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის რესპუბლიკურ ღონისძიებებს, კონკურსებს, სახელმძღვანელო მასალებს. ან არ ეხმაურებიან მათ.

ამის მაგალითია, ის, რომ ცხაკაიას მე-2 საშუალო სკოლამ, თუმცა იცოდა კაბინეტის რესპუბლიკური კონკურსის შესახებ „ვინ

უკეთ გაამწვანებს სკოლის ეზოსა და მის შემოგარენს“, ამ მხრივ არაფერი გააკეთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლებს მწვავედ აკლია ესთეტიკური ციკლის საგნების სწავლებისათვის და კლასგარეშე მუშაობისათვის საჭირო კადრები.

გარდაბნის რაიონში სპეციალისტი ხატვის მასწავლებელი მხოლოდ მარტყოფის საშუალო სკოლას ჰყავს. ასევე ნაკლებად ჰყავთ სპეციალისტები სიმღერა-მუსიკაში.

ჩხოროწყუს რაიონში საერთოდ არ ჰყავთ სახვითი ხელოვნების სპეციალისტი მასწავლებელი, განიცდიან მუსიკის მასწავლებელთა და გუნდის ხელმძღვანელთა დიდ ნაკლებობას.

თერჯოლის რაიონში სიმღერა-მუსიკის მასწავლებელთაგან უმაღლესი განათლებით მხოლოდ ერთია, საშუალო სპეციალური განათლებითაა 10 მასწავლებელი, ხოლო დანარჩენი 13 არასპეციალისტია.

ბევრად უარესი მდგომარეობაა სახვით ხელოვნებაში: 1 მასწავლებელს აქვს საშუალო სპეციალური განათლება, ხოლო 23 მასწავლებელი არასპეციალისტია.

სკოლების ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ესთეტიკური გარემოს შექმნას, სასკოლო კარმიდამოების კეთილმოწყობას, სკოლების დერეფნებისა და საკლასო ოთახების ზომიერად და გემოვნებით გაფორმებას. ამ მხრივ ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს თერჯოლის რაიონის ჩხარის საშუალო სკოლა.

